

ქართველი მხატვრები 1920-ანი წლების პარიზში

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: რესურსის მიზანია მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება; საქართველოს ისტორიისთვის გამორჩეული პერიოდის სახელოვნებო პროცესებისა და კულტურული კონტექსტის აღქმა, გააზრება და ინტერპრეტაცია.

სავალდებულო თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: წინარე ცოდნის გააქტიურება, ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება; კონკრეტული სახელოვნებო მოვლენებისა და ფაქტების მნიშვნელობის აღქმა, გააზრება და 1918-21 წლების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტთან დაკავშირება.

რესურსი XX საუკუნის 20-ან წლებში ახალგაზრდა ქართველი მხატვრების, დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძისა და ლადო გუდიაშვილის, პარიზში სასწავლებლად გამგზავრებასა და იქ ცხოვრების შესახებაა. რესურსი საბაზო საფეხურისთვისაა განკუთვნილი და მისი გამოყენება მას შემდეგ არის მიზანშეწონილი, როდესაც მოსწავლეებს უკვე აქვთ წინარე ცოდნა პირველი რესპუბლიკისა და ქართული ავანგარდის შესახებ.

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 1

თავდაპირველად, მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მეთოდს აცნობს. მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ გაკვეთილი 1920-ან წლებში პარიზში სასწავლებლად წასული ქართველი მხატვრების შესახებაა. თუმცა, გაკვეთილი „არატრადიციული“ გზით წარიმართება. თემის გაცნობის შემდეგ კი მოსწავლეებს უხსნის, რომ „არატრადიციული გაკვეთილი“ შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდის გამოყენებას გულისხმობს. მეთოდის თანახმად, მოსწავლეებს სახლში უწევთ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ უცნობ მასალაზე დამოუკიდებლად მუშაობა. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი მიმდინარე გაკვეთილის დასრულების შემდეგ კლასს დავალება 1-ის word-ის დოკუმენტს უგზავნის. მოსწავლეების ამოცანაა დავალების ინსტრუქციის ყურადღებით გაცნობა, წარმოდგენილი ვიდეომასალის ყურება და წერიტი დავალების შესრულება. მასწავლებელი მხოლოდ ამ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს და დაგეგმილ გაკვეთილს ჩვეულ რეჟიმში წარმართავს.

ნაბიჯი 2

„შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდი გულისხმობს, რომ ტრადიციული გაკვეთილის მსვლელობას, მასალის ახნას, დასწავლას და ჩაბარებას, ახალი მასალის დამოუკიდებლად გააზრება და შემდეგ უკვე კლასში აქტივობებით განმტკიცება ენაცვლება¹. შესაბამისად, მომდევნო გაკვეთილზე აუცილებელია, მასწავლებელმა ბავშვებს, სახლში დამოუკიდებლად შესრულებული დავალების განხილვასთან ერთად, თემასთან დაკავშირებული საკლასო აქტივობები შესთავაზოს. ასე მაგალითად: მოსწავლეებს დავალება N1-ის ინსტრუქციის მიხედვით ჰკითხოვს, რისი გაკეთება გაუჭირდათ ან გაუადვილდათ, რა იყო მათთვის საინტერესო და ა.შ. რა თქმა უნდა, მისაღებია, სამუშაო ფურცლების შემოწმებასთან ერთად, ვიდეომასალის კლასში ხელახლა ჩვენება. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ დავალება სწორად არის შესრულებული. ეს კი გულისხმობს, რომ მოსწავლეებს გაუაქტიურდათ წინარე ცოდნა 1920-ანი წლების საქართველოს პოლიტიკურ კონტექსტზე და ამასთანავე, გაიზარეს 1920 -ანი წლების პარიზში ახალგაზრდა ქართველი მხატვრების სასწავლებლად გამგზავრებისა და იქ ცხოვრების მნიშვნელობა.

ნაბიჯი 3

უშუალოდ გაკვეთილზე კი მასწავლებელმა ყველა მოსწავლეს დავალება N2 ამობეჭდილი და დარიგებული უნდა დაახვედროს. იმდენი ეგზემპლარი უნდა ამობეჭდოს, რამდენი მოსწავლეც ჰყავს კლასში. რაც შეეხება საკლასო აქტივობებს: პედაგოგი კლასს ეუბნება, რომ მათი დავალება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილი დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილისა და მალვა ქიქოძის შესახებ 1920 წელს დაწერილი სტატიის ანალიზია, ხოლო მეორე დავალება ნამუშევრის შექმნას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია აქტივობების რიგითობის დაცვა. თავდაპირველად, მოსწავლეები სტატიას აანალიზებენ, შემდეგ კი

¹ თამთა დოლიძე, “პირიქითა გაკვეთილები, ანუ ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში”, მასწავლებლის წიგნი - საკლასო ოთახი, გვ.37 <https://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2019/11/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98.pdf>

ნამუშევარს ქმნიან. დავალებების შესრულების დროს, რა თქმა უნდა, მოსწავლეებს შეუძლიათ, მასწავლებელს დახმარება სთხოვონ.

ნაბიჯი 4

საშინაო დავალების განხილვის შემდეგ საკლასო აქტივობების დრო დგება. წერითი დავალების ინსტრუქციის პარალელურად მასწავლებელი კლასს პრეზენტაციას უჩვენებს. სლაიდებზე წარმოდგენილია დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძისა და ლადო გუდიაშვილის ფოტოები, რომლებიც მათი პარიზში ცხოვრების დროს არის გადაღებული. ფოტოების დათვალიერებისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები დააკვირდნენ და გამოთქვან საკუთარი აზრი ახალგაზრდა მხატვრების შესახებ. მაგალითად, ყურადღება მიაპყრონ იმდროინდელ ჩაცმის სტილსა და მათ სამუშაო გარემოს. სლაიდებზე ასევე წარმოდგენილია 1920-ანი წლების პარიზის ამსახველი ფოტოები. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ყურადღებით დააკვირდნენ ფოტოებს. ფოტოების აღწერით კი შეძლონ იმდროინდელი პარიზელების ყოველდღიურობის დახასიათება.

მსჯელობისა და დავალების ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები წერით დავალებას ასრულებენ. აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შესრულებულ დავალებას კლასთან ერთად განიხილავს. ამის შემდეგ კი მოსწავლეები პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას იწყებენ. მასწავლებელი მოსწავლეებს დავალების ინსტრუქციას მოსწავლეებს აცნობს. მოსწავლეები არჩევენ მათთვის სასურველ ჟანრს, ტექნიკას, მასალას და საკუთარი ჩანაფიქრის მიხედვით ნამუშევრებს ქმნიან. დავალების შესრულების დროს, მასწავლებელი სამუშაო პროცესს აკვირდება და საჭიროებისამებრ, განმავითარებელ შეფასებას აძლევს მოსწავლეებს. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შემდეგ, ბავშვებმა საკუთარი ნამუშევრები კლასის წინაშე უნდა წარადგინონ. წარდგენისას მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ, როგორ მოახერხეს საკუთარი ჩანაფიქრის გადმოცემა. ამისთვის კი, მათ უნდა იმსჯელონ მხატვრული ამოცანის შესაბამისად გამოყენებულ სახვით საშუალებებსა და ხერხებზე, ტექნიკასა და მასალაზე, ფორმასა და შინაარსზე. გაკვეთილი კი მასწავლებლის შეჯამებით სრულდება.

ნაბიჯი 5

ყველა დავალების შესრულების შემდეგ, მასწავლებელი გაკვეთილს შეაჯამებს და მოსწავლეებს უკუკავშირის აძლევს. უკუკავშირის დროს მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა „სენდვიჩის მეთოდი“ გამოიყენოს.

რეკომენდაცია შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისთვის: მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისთვის საგნობრივ სტანდარტს უნდა დაეყრდნოს. რესურსის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლეების მსჯელობის მართებულობა, არგუმენტირებულობა და ლოგიკურობა, ფაქტების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში გააზრება; ხოლო ხელოვნების ნიმუშების შემთხვევაში, მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ნამუშევრების ეპოქასთან და მიმდინარეობასთან დაკავშირება. ნამუშევრის შექმნისას, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეების ინდივიდუალურ მიდგომას, მასალის, ტექნიკისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შემოქმედებითად გამოყენებას. მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმების შემუშავების და ქულების განსაზღვრის დროს მაღალი ქულით მხოლოდ ის მოსწავლეები არ შეფასდნენ, ვისაც ნამუშევრის აკადემიურ დონეზე შესრულება შეუძლია. სასკოლო განათლების კონტექსტში აქტივობის, ნამუშევრის

შექმნის მიზანია ხელოვნების საშუალებით თვითგამოხატვის სწავლა, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და მისი პრაქტიკაში განხორციელება.

რესურსის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტწყაროები:

1. გაზეთი „ბარრიკადი“, 1920 წ. N2 <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/146882>
2. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეროვნული მუზეუმების ერთობლივი პროექტი - „ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“, <https://www.youtube.com/watch?v=HnnV7ZpDCgw>
3. გამოფენის კატალოგი - „დავით კაკაბაძე 130“, 2019 წ. https://baiagallery.com/en/wp-content/uploads/Catalogue_Kakabadze130.pdf
4. ალბომი - „მალვა ქიქოძე“ 2015წ. https://elfiles.emis.ge/uploads/54669/kikodze_book_final_2015_6_07_g.pdf
5. ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზის ოფიციალური გვერდი, <https://ladogudiashvili.ge/page?id=1&lang=ge>
6. Getty Images-ის ფოტოარქივი, <https://www.gettyimages.com/editorial-images>
7. ბიბლიოვიკი - საქართველოს დამფუძნებელი კრება <https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>
8. მასწავლებლის წიგნი - საკლასო ოთახი, თამთა დოლიძე, „პირიქითა გაკვეთილები, ანუ ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019 წ. <https://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2019/11/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98.pdf>